პირველი ინფორმაცია

მეორე საერთაშორისო კონფერენცია

"გამოყენებითი მათემატიკის თანამედროვე პრობლემები"

მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 95 და
თსუ ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 45 წლისთავისადმი

კონფერენცია გაიმართება ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში 2013 წლის 4-7 სექტემბერს

ორგანიზატორები:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU)
    - ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი (VIAM TSU)
    - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულება
- მათემატიკისა და ინფორმატიკის თბილისის საერთაშორისო ცენტრი (TICMI)
- საქართველოს ეროვნული კომიტეტი თეორიულ და გამოყენებით მექანიკაში (GNCTAM)

კონფერენციის სექციები:

- უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური პრობლემები და ანალიზის მონათესავე საკითხები
- მათემატიკური მოდელირება და გამოთვლითი მათემატიკა
- დისკრეტული მათემატიკა და ალგორითმების თეორია
- ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა

თითოეული მოხსენებისთვის განკუთვნილია 35 წუთი დისკუსიის ჩათვლით. საკმარისი დრო იქნება გამოყოფილი შესვენებისა და სოციალური ღონისძიებებისთვის, რათა გაიზარდოს მონაწილეთა შორის სამეცნიერო ურთიერთობა და ცოდნის გაცვლა.

LaTex ფორმატში მომზადებული ერთგვერდიანი თეზისი (ნიმუში ხელმისაწვდომია კონფერენციის ვებ-გვედზე: http://www.viam.science.tsu.ge/conferences/TSU95&VIAM45/index.htm) გადმოგზავნილი უნდა იყოს ელექტრონული ფოსტით კონფერენციის სამდივნოში 2013 წლის 1 ივლისამდე. თეზისი უნდა შეიცავდეს მოხსენების სახელწოდებას, მომხსენებლის სახელსა და გვარს, ორგანიზაციის დასახელებას, ელექტრონული ფოსტის მისამართსა და სექციის სახელწოდებას.

საქართველოს მოქალაქეებისთვის კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანია 40 ლარი.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას
გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
უნივერსიტეტის ქუჩა 2,
0186 თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 32 2303040 ფაქსი: +995 32 2303040
ელ. ფოსტა: tsu95.viam45@gmail.com ან maia.svanadze@gmail.com
ვებ-გვერდი: http://www.viam.science.tsu.ge/conferences/TSU95&VIAM45/index.htm